

შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

შპს „პრიმა“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

გვერდი 1

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გვერდი 2

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

მოგება-ზარალისა და სხვა სრული
შემოსავლის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის რომელიც
დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	1 982 072	
საქონლის გაყიდვიდან	1 821 303	
მომსახურების გაწევიდან	144 984	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	15 785	

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1 797 581	
საწყისი მარაგები	2 493 621	
მარაგების შესყიდვა	558 461	
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	1 254 501	
საერთო მოგება	184 491	

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(206 069)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(9 854)	
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	(7 167)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(28 721)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(251 811)	

გვერდი 3

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

საოპერაციო მოგება	(67320)	
-------------------	---------	--

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(7970)	
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(75290)	
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	(75290)	

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(75290)	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	3 165 675	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(36077)	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(1 384884)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 744 714	

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



გვერდი 4

შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

შპს „ პრიმა „

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

ლარი	31.12.2018	31.12.2017
	საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	38 243	50 409
საგაჭრო მოთხოვნები	460 129	702 060
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	-	22 677
მარაგები		
- მზა პროდუქცია		
- სხვა	1 254 501	2 493 621
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	4 941	3 867
ძირითადი საშუალებები	11 218	89 154
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1 769 032	3 361 788

გვერდი 5

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი

შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
საეჭრო ვალდებულებები	1324	192 979
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13410	3 100
საგადასახადო ვალდებულებები	9 584	34
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	24 318	196 113
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1615360	3 000 244
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	129354	165 431
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	1 744 714	3 165 675
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 769 032	3 361 788

გვერდი 6

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



შპს "შპს პრიმა "

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პრიმა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 13/04/2016). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №29-31-33, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელებით . კომპანიის დირექტორი: ნანი მამულაშვილი (პ.ნ. 24001004621),საწარმოს (100%) მფლობელია ირა არველაძე

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).საწარმოსათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება,შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ მოიცავს შესადარის ინფორმაციას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია,რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე,ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე,რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

გვერდი 7

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა**აღრიცხვის საფუძვლები**

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა ფინაში. საწარმო მიეკუთვნება მე-3 მე კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძვნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიან კლასიფიკაციის საფუძველზე, აქტივი მიმდინარეა როდესაც მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში. მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში. აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარავად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ, ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში. დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში. არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება. ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას აკუთვნებს.

გვერდი 8

უცხოური ვალუტა

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური-ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლების და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში ან შესაბამისად გადინება. შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული და მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება, მათი სახეობის მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები. შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც: საწარმო მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე. საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი, შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურებიდან-მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებულია მხარეთა მიერ.

იჯარა

ბასს-17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, შესაბამისად საწარმოს იჯარით არებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად და მიღებული შემოსავლები შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

გვერდი 9

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება. მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები: აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას, თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით ასეთის არსებობის შემთხვევაში. იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, დაჩქარებული შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: • ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20% • არამატერიალური აქტივები - 15% • იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება საჭიროებისამებრ.

გვერდი 10

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს ნაშთის დაჩქარებული შემცირების მეთოდით მათი სასარგებლო ვადის გამოყენების მიხედვით.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა. იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება, გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, და სხვა პირდაპირი ხარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. ფინანსური ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების, მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები


მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ნაწილობრივ ნაღდი გადახდით და საკრედიტო პირობებით ანუ კონსიგნაციით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, საწარმო ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას, აქტივების საბალანსე ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გვერდი 12

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.
დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით, შრომითი კანონმდებლობითა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთის შესაბამისად, დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.



შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

2018 წელს შპს პრიმას წეტო ამონაგები საქონლის გაყიდვიდან---1982072 ლარი,
რომელიც მოიცავს საცალო გაყიდვებს ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებზე და ტაქსფრით.
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება 2018 წელს -1797581 ლარი
რეალიზირებული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.
დასაქმებულთა ანაზღაურება 2018 წელს--206069 ლარი
ცვეთა და ამორტიზაცია 2018 წელს--9854 ლარი
ძირითადი საშუალებებისამორტიზაცია მიმდინარეობს ნაშთის შემცირების მეთოდით.
იჯარის ხარჯი 2018 წელს-7167 ლარი
იჯარის ხარჯი აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2018 წელს--28721 ლარი
სავაჭრო მოთხოვნები 2018 წელს --460129 ლარი
სავაჭრო მოთხოვნები წარმოშობილია საქონლის ადგილობრივი მიწოდებიდან .
სხვა მარაგები 2018 წელი--- 1254501 ლარის
ბალანსზე არსებული სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი არის გასაყიდად განკუთვნილი
იმპორტირებული საქონელი.
ძირითადი საშუალებები 2018 წელი---11218 ლარის
ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით
და ნაწვენებია საბალანსე ღირებულებით.კომპანიას არ გააჩნია მიწა და უძრავი ქონება.
არა მატერიალური აქტივები 2018 წელი ---4941 ლარი
საბუღალტრო პროგრამა ფინა.
სავაჭრო ვალდებულება 2018 წელს---1324 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი მომსახურებიდან.

გვერდი 14

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი



შპს პრიმა

ს/კ405145212

ფინანსური ანგარიშგება 2018

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 2018 წელს--13410 ლარი.

საგადასახადო ვალდებულებები 2018 წელი --9584 ლარი

ბიუჯეტის მიმართ არსებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის დავალიანება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის.

შპს პრიმას კაპიტალი შეადგენს 31.12.2018 წელს ---1615360 ლარს

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს.

გვერდი 15

შპს პრიმა-ს დირექტორი ნანი მამულაშვილი

